ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

მერის ანგარიში 2019 წელს გაწეული
საქმიანობის შესახებ

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 23 015 757 ლარს, რაც წინა წლის ბიუჯეტს 6 637 735 ლარით აღემატება.

  ფაქტიური ხარჯი 01 ნოემბრის მდგომარეობით შეადგნს 16 905 404 ლარს, რაც წლიური გეგმის შესრულების 74,5 % -ს შეადგენს



- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის წლიური შემოსულობების გეგმა შეადგენს 18 066 175 ლარს. ფაქტიურმა შემოსულობამ 3 კვარტალის მდგომარეობით შეადგინა 5 123 585 ლარი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 1 743 868 ლარით აღემატება. წლიური შემოსულობები გეგმის შესრულების 84 %-ს შეადგენს.

შესყიდვები

- 2019 წლის შესყიდვების წლიური გეგმა 12 600 000 ლარს შეადგენს. 01 ნოემბრის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიხედვით გაფორმდა 165 ხელშეკრულება, მათ შორის:

გაფორმდა 85 სატენდერო ხელშეკრულება

შეწყვეტილი იქნა – 2 სატენდერო ხელშეკრულება

მიმდინარეობს 2 სატენდერო ხელშეკრულების მომზადება

მიმდინარე ეტაპზე 2 პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი

- 2019 წლის იანვრიდან დღემდე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმებული იქნა 49 ხელშეკრულება , ხოლო კონსოლიდირებული შესყიდვების საშუალებით 25 ხელშეკრულება.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება

- დაგეგმილი წლიური 147 კაპიტალური პროექტებიდან დღეის მდგომარეობით 115 პროექტი დასრულებულია, 32 პროექტზე მიმიდინარეობს სამუშაოები.

- შიდა სასოფლო გზების არმირებული ბეტონის საფარით მოწყობა – 2 359 288 ლარი
- შიდა სასოფლო გზების მოწყობისათვის მზა ბეტონის შეძენა – 712 000 ლარი
- წყალმომარაგეობის უზრუნველყოფის ღონისძიებები – 1 639 455 ლარი
- მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (სტადიონები, სკვერები, მოსაცდელები) – 1 111 492 ლარი
- გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – 428 932 ლარი
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მხარდაჭერის პროგრამა – 332 557 ლარი
- გზებთან მიმართებაში ფერდამცავი კედლების მოწყობა – 192 400 ლარი



საგზაო ინფრასტრუქტურა

2019 წელს, ხორციელდება შიდა სასოფლო გზების არმირებული ბეტონის საფარით მოწყობის 40 პროექტი.

ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით კეთილმოეწყო 25 კილომეტრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზა.

გარდა არმირებული ბეტონის საფარის მოწყობისა, შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების მიზნით შეძენილი იქნა 5 703 $м^3$ მზა ბეტონი.

აღნიშნული პროექტის შედეგად, მოსახლეობის ჩართულობით მოწესრიგდა 19 კილომეტრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია გზის მეწყერსაშიშ მონაკვეთებზე ფერდსამაგრი კედლებისა და დამცავი გაბიონების მოწყობა, ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჯამში 17 პროექტი ხორციელდება, რომელთგან 11 უკვე დასრულებულია, ხოლო 6 მიმდინარე (ბიუჯეტი 192 400 ლარი).

წყალმომარაგების უზრუნველყოფა

წყალმომარაგების კუთხით ჯამში 12 პროექტი ხორციელდება:

- ჭაბურღილის მოწყობა უკვე დასრულდა ჯიბინაურში; გამოცხადეულია ტენდერი სოფელ შარაბიძეებში ჭაბურღილის მოწყობისათვის;
- სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოები ხორციელდება ჯამში 6 წყალმომარაგების სისტემაზე სოფელ ახალსოფელში, მარადიდში, სალიბაურში, აჭარისაღმართში, მახინჯაურსა და განახლებაში.
- წყლის სალექარები მოეწყო სოფელ ევგენიძეებსა და მაღლაკონში.
- სანიაღვრე არხები მოეწყო სოფელ ზანაქიძეებსა და ახალსოფელში.

წყალმომარაგების მიმართულებით 2019 წელს 1 594 063 ლარი იხარჯება. აღნიშნული პროექტების განხორციელებით სუფთა სასმელი წყლით მომარაგდება მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი 1 365 ოჯახი.

სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურა

აქტიურად მიმდინარეობს სპორტული და დასასვენებელი ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები:

- 2019 წელს მუნიციპალიტეტში 6 ერთეული სკვერისა მოწყობა ხორციელდება შემდეგ სოფლებში: წინსვლა, ახლსოფელი, ხელვაჩაური, თხილნარი, სიმონეთი და ჭარნალი.
- ახლსოფელში, ხელვაჩაურში, ჭარნალში, კირნათში, კაპრეშუმში, აგარასა და ომბოლოში ჯამში 6 მინი სპორტული მოედნი შენდება.
- ახლახან დასარულდა ზედა ჭარნალის ცენტრის მოწყობა.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 424 492 ლარი იხარჯება.

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

2019 წელს განხორციელდა გარე განათების მოწყობის 16 პროექტი.

აღნიშნული სამუშაოების შესრულებით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტში 25 კილომეტრამდე ადგილობრივი მნიშვნელობის გზის განათება.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში 50 ერთეული საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსაცდელი მოეწყო.

მოსაცდელების განთავსების ადგილები მოსახლეობის უშუალო ჩართულობით იქნა შერჩეული. პროექტის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 186 896 ლარი დაიხარჯა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტისათვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის 2019 წლის ბიუჯეტი 968 000 ლარს შეადგენს. პროგრამის სახელშეკრულებო ღირებულებამ 941 885 ლარი შეადგენა.
პროექტების შერჩევა მოსახლეობის უპრეცენდენტო ჩართულობით მიმდინარეობდა.

- მოსახლეობის უმრავლესობამ უპირატესობა მიანიჭა შიდა სასოფლო გზების მოწესრიგებას. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 25 კილომეტრამდე შიდა სასოფლო გზების ბეტონის საფარით მოწყობა.

- დასრულდა გარე განათების მოწყობის 2 პროექტი სოფელ ქვედა სამებასა და მაღლაკონში. ამ მიმართულებით პროგრამის ბიუჯეტიდან 26 925 ლარი დაიხარჯა.

- წყალმომარაგების სისტემების გამართვის მიზნით დაიხარჯა 9 049 ლარი, ხუთი სოფლისათვის (ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ცხემლარა, მარადიდი, ძაბლავეთი) შეძენილი იქნა 7 750 გრძ. მ. სხვადასხვა დიამეტრის წყლის მილები.

სოციალური ინფრატრუქტურული პროგრამები

- სტიქიური რისკის ზონაში მცხოვრები ოჯახების საცხოვრებელი სახლების მიმართ ფერდსამაგრი ნაგებობების მშენებლობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2019 წელს 29 პროექტი დაიგეგმა, რომელთაგან 23 უკვე დასრულებულია, ხოლო 6 მიმდინარეობს. (ბიუჯეტი 403 500 ლარი)

- ამხანაგობის მხარდაჭერის პროგრამით ხორციელდება 7 პროექტი, რომელთაგან 5 დასრულებულია, ხოლო 2 მიმდინარე. პროგრამა ითვალისწინებს ამხანაგობის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების, ფასადებისა და ეზოების რეაბილიტაციას. პროგრამის ბიუჯეტი 2019 წელს 332 557 ლარს შეადგენს.

- საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების გამოვლენის, აღრიცხვისა და თუნუქით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში მერიის მიერ შეძენილი იქნა 225 180 ლარის ღირებულების თუნუქის ფირფიტები, რომლებიც სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ გამოვლენილ ბენეფიციარებე ნაწილდება.

მე-4 სოციალური სახლის მშენებლობა კაპრეშუმში

- სოფელ კაპრეშუმში აქტიურად მიმდინარეობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეკომიგრანტი ოჯახებისათვის, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესი.

- პროექტის საერთო ღირებულება 2 977 792 ლარია. სამუშაოები ორ ეტაპად წარიმართება. პროექტისათვის 2019 წლის ბიუჯეტით 1 500 000 ლარია გათვალისწინებული.

- კაპრეშუმის სოციალური სახლი 39 ბინაზეა გათვალისწინებული.

ინფრასტრუქტურული პროექტები და ზედამხედველობა

- 2019 წელს მერიის საპროექტო განყოფილების მიერ მომზადდა 116 ერთეული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, მათ შორის: მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, მინი სპორტული მოედნები, გარე განათების მოწყობა, ხიდების და სანიაღვრე არხების მოწყობა, წყლის სისტემის მოწყობა და სხვა.

  რიგი მომზადებული პროექტებისა უკვე განხორციელდა, დარჩენილი პროექტები პრიორიტეტების მიხედვით მომდევნო წლებზე გადანაწილდება. მიმდინარე ეტაპზე მოსამზადებელი და შესასწავლია 72 ერთეული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

- 2019 წელს ზედამხედველობის სამსახურის მიერ მერიის ინფრასტუქტურული მშენებლობის 120 და კერძო მშენებლობის 77 ობიექტზე ხორციელდება ტექნიკური კონტროლი.

- ექსპლუატაციაში მიღებულია მშენებლობის ნებართვით აშენებული 5 ობიექტი, სააღსრულებო ბიუროში გადაცემულია 2 სქმე, ამოღებულია ჯარიმა 2 400 ლარის ოდენობით.



ქონების მართვა

- საანგარიშო წელს ქონების მართვის განყოფილების მიერ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დარეგისტრირებული იქნა ჯამში 20 ერთეული სხვადასხვა სახის ობიექტი.

- უზუფრუქტის, სერვიტუტისა და თხოვების წესით დროებით სარგებლობაში გადაცემული იქნა 19 ოქბიექტი.

- ერთი მოქალაქისათვის განხორციელდა ბინის პრივატიზაციის პროცედურა და საკუთრებაში გადაეცა კანონიერ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი სახლი.

- იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში აუქციონის წესით გადაცემული იქნა 7 ერთეული ფართი სხვადასხვა ობიექტების მოწყობის მიზნით.

- ელექტრონული აუქციონის გზით პრივატიზირებული იქნა 2 ობიექტი.

- 2019 წელს მომზადებულ იქნა 50 ერთეული დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნები და 151 ერთეული აზომვითი ნახაზები.

ჯანდაცვა

2019 წელს, ჯანდაცვის პროგრამებით ჯამში 591-მა ბენეფიციარმა მიიღო სარგებელი. მერიაში მოქმედებს ჯანდაცვის 10 მიზნობრივი პროგრამა:

1. ეპილეფსიით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა
2. პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა
3. დიალიზით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა
4. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ხელშეწყობა
5. პარკინსონით დაავადებულ პირთა სფეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა
6. ბრონქული ასთმით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა
7. თემზე დაფუძვნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთათვის
8. ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა სატრანსპორტო კომპენსაციით უზრუნველყოფა
9. ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება
10. ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამა



სოციალური პროგრამები

- 2019 წელს მერიის მიერ სოციალური დაცვის მიმართულებით ხორცილდება 8 მიზნობრივი პროგრამა:

1. მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარება (ბიუჯეტი 90 000 ლარი)
2. მრავალშვილიან და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება (ბიუჯეტი 20 000 ლარი)
3. ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება (ბიუჯეტი 5 200 ლარი)
4. პირველ და მეორე ახალშობილზე 0-დან -200 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება (ბიუჯეტი 15 900 ლარი)
5. უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა (ბიუჯეტი 77 070 ლარი)
6. მარტოხელა მშობლის (მარტოხელა დედა მარტოხელა მამა) ერტჯერადი მატერიალური დახმარება (ბიუჯეტი 17 000 ლარი)
7. გაზიფიცირების პროგრამა 0-დან 100 000-მდე სარეიოტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის (ბიუჯეტი 30 000 ლარი)
8. 0-დან 100 000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ოჯახის წევრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ერთჯერადი მატერიალური დახმარება (ბიუჯეტი 25 000 ლარი)



სოციალური უზრუნველყოფა

- 2019 წელს, სარეზერვო ფონდის წლიური გეგმა შეადგენს 282 000 ლარს ფაქტიური ხარჯი გაწეულია 195 537 ლარის ოდენობით. სულ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის მასშტაბით დახმარება გაეწია 438-ოჯახს.

- სტიქიის შედეგად დაზარალებული 32 მოქალაქე გაყვანილი იქნა დროებით თავშესაფარში, თითოელ ოჯახზე მერიის მიერ გამოყოფილია ქირის საფასური თვეში 300 ლარის ოდენობით (39 000 ლარი).

- ხანძრის შედეგად დაზარალებული 10 ოჯახი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის თანადაფინანსებით დაკმაყოფილებული იქნა ჯამში 71 100 ლარის ოდენობით.

- საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოებისათვის 3 ოჯახს გამოეყო ჯამში 19 045 ლარი.

- მატერიალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 404-ოჯახს გაეწიათ ერთჯერადი დახმარება ჯამში 150 242 ლარის ოდენობით.

კულტურა

2019 წელს განათლებისა და კულტურის მიმართულებით არსებულ ღონისძიებებსა და პროგრამებში ჯამში 86 000 ლარი იხარჯება, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 23 000 ლარით მეტია.

- სამსახურის ორგანიზებით მიმდინარე წელს გაიმართა 38 ერთეული კულტრულ-შემოქმედებითი ღონისძიება
- ჩატარდა 5 ერთეული შემეცნებით-გასართობი და შემოქმედებითი კონკურსი.
- საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა 9 მაისის, 26 მაისის, 22 ივლისისა და 8 აგვისტოს ღონისძიებები.
- 24 აგვისტოს, სარფის სანაპიროზე ჩატარდა სახალხო ზეიმი ,,კოლხობა", რომელსაც 600-მდე ადამიანი ესწრებოდა. ღონისძიება იყო საიუბილეო (40 წელი), წარმოდგენილი იყო ადგილობრივი კერძები და რეწვის ნიმუშები.
- 07 სექტემბერს, მაჭახლის ხეობაში ჩატარდა სახალხო ზეიმი ,,მაჭახლობა", რომელსაც 700-მდე ადამიანი ესწრებოდა. ღონისძიებას ასევე, ესწრებოდა თურქეთისა და პოლონეთის რესპუბლიკის დელეგაცია. წარმოდგენილი იყო ადგილობრივი კერძები და რეწვის ნიმუშები.

განათლება

- 2019 წელს სკოლამდელი დაწესებულებებისათვის მომზადდა ახალი პროგრამა ,,სასკოლო მზაობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი'', რაც სახელმწიფო სტანდარტების უკეთ გაცნობიერებაში დაეხმარება დასაქმებულ პერსონალს. პროექტი ბსუ-ს პროფესორებმა დადებითად შეაფასეს.

- ,,ბავშვთა და ოჯახების მოწყვლადობის საბჭოს" ეგიდით, მუნიციპალური და სხვადასხვა სტრუქტურებიდან წარმოდგენილი 2019 წლის პროგრამების შეჯამებით, მომზადდა ერთიანი ბუკლეტი. პროექტის საშუალებით ადგილობრივი, რეგიონალური თუ სახელმწიფო პროგრამები მოსახლეობისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა.

- შშმ პირთა უფლებებისა და დამოკიდებულებების გასაუმჯობესებლად ორგანიზაციასთან – ა(ა)იპ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისათვის'' გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა დისტანციურ სწავლებას.

- 2019 წელს, სტუდენტური პროგრამის ბიუჯეტი 40 000 ლარს შეადგენს. პროგრამის ფარგლებში სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 38 სტუდენტი, თითოეული 486 ლარის ოდენობით.
ხოლო, მეორე სემესტრში დაფინანსება მიიღო 39 სტუდენტმა. თითოეულზე გაიცა 474 ლარი.

სპორტი

- 2019 წელს სპორტული ღონისძიებებისათვის 33 000 ლარი იხარჯება.

- მიმდინარე წელს, ჯამში 8 სპორტული შეჯიბრი გაიმართა სკოლებს შორის ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში და ფეხბურთში. სულ ტურნირში მონაწილეობას ღებულობდა 500-მდე მოსწავლე. საერთო გუნდური შედეგებით გასული 8 სკოლის ფიზიკური აღზრდის პედაგოგს გადაეცემა ფულადი ჯილდო.

- ჯამში 9 სახელობითი ტურნირი გაიმართა ხელბურთში, ძიუდოში, ბერძნულ/რომაულ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ასევე, ტურნირები ვეტერანებს შორის და პედაგოგებს შორის ფრენბურთში.

- სპორტის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გაიმართა სპორტული შეჯიბრებები ნარდსა და ჭადრაკში, რომელშიც ჩართული იყო 60-მდე მონაწილე.

- აქტიური სპორტის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებს შორის ჩატარდა ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც 5 გუნდი (50 კაცი) მონაწილეობდა.

- 13 ივნისს საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს შორის გაიმართა შემეცნებითი კონკურსი ჭადრაკში.

ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრი

2019 წელს ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებამ შეადგინა 90 000 ლარი, რაც შარშანდელ მაჩვენებელთან (40000 ლარი) შედარებით 125 %-ით მეტია.

- ახალგაზრდებს შორის გაიმართა 7 შეჯიბრი ინტელექტუალურ თამაშში ,,რა? სად? როდის?
- კინო კლუბის ფარგლებში განხორციელდა 5 კინოს ჩვენება და განხილვა.
- ინგლისური ენის კლუბის ფარგლებში სისტემატურად იმართებოდა ინგლისური ენის გაკვეთილები, რომელსაც ამერიკელი მოხალისე დეინა ვაისი უძღვებოდა; მის მიერ 8 თებერვალს ჩატარდა კონკურსი "კრეატიული ესეების წერა ინგლისურ ენაზე“. ასევე, შედგა პროექტი: ,,მოდით ვითამაშოთ ერთად”, რომელშიც 40 შშმ პირი იყო ჩართული.
- არაფორმალური განათლების მხრივ დაფინანსდა 6 ტრენინგი და 7 საჯარო ლექცია, რომელსაც ხელვაჩაურში მაცხოვრებელი ახალგაზრდები ესწრებოდნენ.
- კითხვის კლუბის ფარგლებში 12-ჯერ გაიმართა წიგნის საჯარო განხილვის ღონისძიება.
- არტ-კლუბის ფარგლებში მოწვეული სპეციალისტების მიერ ჩატარდა 8 სალექციო კურსი ფოტოგრაფიის მოყვარულთათვის, რომლის შემდგომ ჩატარდა კონკურსი. კონკურსში მონაწილეობდა 14 ახალგაზრდა.
- დაფინანსდა ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი 15 მცირე პროექტი.
- აქტიური ახალგაზრდებისათვის მოეწყო ექსკურსიები ოზურგეთის და ვანის მუნიციპალიტეტებში.
- გაიმართა სპეკტაკლის პრემიერა – ,,სტუმარ-მასპინძელი”, რომელშიც 20-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული, სპეკტაკლი 600-მდე ადამიანმა იხილა, შემოსული თანხა კი საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდა.
- ახალგაზრდული საქმეებისა და პროექტების განხილვის მიზნით ჩატარდა შეხვედრები 8 საჯარო სკოლაში.
- შეიქმნა ჭადრაკის შემსწავლელი ჯგუფი.

ახალგაზრდების ღონისძიებებზე სწრებადობა



ახალგაზრდობის ცენტრის ბიბლიოთეკით სარგებლობა.



2019 წელს განხორციელდა მაჭახლის საზაფხულო ბანაკის პროექტი. პროექტისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 47 166 ლარი დაიხარჯა. ბანაკში 7 ნაკადად, ჯამში 1373 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ტურიზმი

- ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტების პროექტი და 25 მაისს სოფელ კაპნისთავში გაიმართა ფესტივალი ,,კაპანი".

- სპორტული ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით 25 აგვისტოს ჭარნალში გაიმართა აჭარის „შავი ზღვის ოფროუდ ფესტივალი". საერთაშორისო შეჯიბრებაში 5 ქვეყნის 35-მა ავტომრბოლელმა მიიღო მონაწილეობა.

- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით დაიწყო პროექტი ,,ქედა-ყოროლისთავი-მტირალას ეროვნული პარკი", რომელიც მოიცავს ახალი ბილიკის მოწყობას და სამომავლოდ ტურისტული ბილიკის არსებობას, ეს კი მნიშვნელოვანია ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური განვითარებისათვის. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაცია ,,შავი ზღვის ეკოაკადემია".

- ბათუმში გამართულ ტურისტულ გამოფენაზე 10-12 მაისს წარმოდგენილი იყო ხელვაჩაურის კუთხე.

- გამოცხადებულია ტენდერი მაჭახელში, ჩხერის თაღოვანი ხიდის რეაბილიტაციისათვის.

- დაწყებულია მუშაობა ტურისტული ობიექტების განახლებულ ბაზაზე (ფოტო დასურათება, დამისამართება და ა.შ.)

ბუნებრივი რესურსები და აგრარული საკითხები



2019 წელს, სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 280 565 ლარი.

- ,,შეშის ჩანაცვლება ბრიკეტით და თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელების დანერგვა“ – მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, სპეციალური კომისიის მიერ შერჩეულ168 ბენეფიციარს გადაეცა თხილის ნაჭუჭის ენერგოეფექტური ღუმელები, ხოლო 205 ბენეფიციარზე განაწილდა ბრიკეტები.
- ასევე, შემუშავებული იქნა მიზნობრივი პროგრამა ,,თხილის ნაჭუჭის ტრანსპორტირების მომსახურების ხელშეწყობა“. პროგრამის თანახმად, ტრანსპორტირების მომსახურების დაფინანსება განხორციელდება 100%-ით 15 ტონიდან 25 ტონამდე შეძენილი თხილის ნაჭუჭის რაოდენობაზე.
- 2019 წლის ბიუჯეტის ფარგლებში მუშაობს პროგრამა ,,სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა", რომელიც გულისხმობს ფერმერების თანადაფინანსებას 50%-ით, ა(ა)იპ ,,აგროპროექტების მართვის ცენტრთან“ ერთად.
- სამსახური ჩართული იყო ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებებში. სულ, მუნიციპალიტეტის მაშტაბით შეიწამლა სასოფლო-სამეურნეო ნარგავები ცივი შესხურებით 952 ჰა და თერმული დამუშავებით 3 800 ჰა, ხოლო სიმინდის ბაღები 9 ჰა.
- სამსახურმა უზრუნველყო პირველი ხარისხის სამასალე ხე-ტყის განაწილება სპეციალური კომისიის მიერ შერჩეულ 12 ბენეფიციარზე.

სამოქალაქო ჩართულობა და მოქალაქეთა მომსახურება

- მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მერთან არსებული სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერმანენტულად იკრიბება, განიხილავს მოსახლეობის მოთხოვნებს და შესაბამის მოსაზრებებს წარუდგენს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას რეკომენდაციის სახით. საბჭო აქტიურად არის ჩართული პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტირების დროს.

- ყოველ ორშაბათს იმართება მოქალაქეების მიღება მერთან. ელექტრონულ ჟურნალში მერთან მიღებაზე რეგისტრაცია გაიარა– 595–მა მოქალაქემ.

- 2019 წელს მოქალაქეთა მომსახურების რეგისტრაციის ჟურნალში გატარდა – 918 მოქალაქე.

- მიმდინარე წელს მერიაში განხილული იქნა 15 640 განცხადება/კორესპოდენცია, მათ შორის 9 081 შეადგენდა მოქალაქეთა განცხადებებს.

- საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ შემოსულია – 60 განცხადება, ყველა განცხადება დაკმაყოფილებულია პასუხით.

- მუნიციპალიტეტის მერიასა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი შემდეგ მიმართულებებზე: მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება; სამოქალაქო მონიტორინგის ინსტრუმენტების დანერგვის ხელშეწყობა; სამოქალაქო ბიუჯეტის მოდელის შექმნა და განხორციელების პროცესის მხარდაჭერა; „ბენჩმარქინგის“, ასევე ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და მონაწილეობითი მიდგომების დანერგვის ხელშეწყობა.

- ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2019 წლის შედეგების თანახმად, ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პროაქტიული გამოქვეყნების თვალსაზრისით, ხელვაჩაურის რეიტინგის მაჩვენებელმა 28–ე პოზიციიდან მე–14 პოზიციაზე გადმოინაცვლა.

- საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციის საერთაშორისო კონფერენციაზე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი გამარჯვებული გახდა ნომინაციაში – "საუკეთესო პრაქტიკა – მოსახლეობის მონაწილეობა პრიორიტეტების განსაზღვრისას" და საჩუქრად სპეციალური ჯილდო და სერთიფიკატი გადაეცა.

სამხედრო აღრიცხვა

- 2019 წლის იანვარ-აპრილში ჩატარდა 2002 წელს დაბადებულ ჭაბუკთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა. აღრიცხვას ექვემდებარებოდა 358 ჭაბუკი, აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 356. არ გამოცხადდა საპატიო მიზეზით 2.

- 2019 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო გაწვევების პერიოდში სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულია 120 წვევამდელი. *ასევე:*
  - *ცნობილი იქნა უვარგისად სამხედრო სამსახურისათვის 3.*
  - *ცნობილი იქნა შეზღუდულად ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის 49.*
  - *გაიგზავნა დამატებით გამოკვლევაზე 7.*
  - *მიეცა გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობით 23-ს.*
  - *მიეცა გადავადება სწავლისა და ოჯახური მდგომარეობის გამო 275-ს.*
  - *გადაეცა მასალები სასამართლოს 8-ზე.*

- 2019 წელს სამსახურის მიერ გაიცა 86 დროებითი მოწმობა. გადაირიცხა რეზერვში 27 წლის შესრულების გამო - 507 წვევამდელი.



მუნიციპალური ორგანიზაციები

ხელვაჩაურის მერიაში არსებული მუნიციპალური დაწესებულებების საერთო ხარჯი 2019 წლის 9 თვის მდგომარეობით შეადგენს 4 793 637 ლარს, რაც წლის გეგმის შესრულების 67 %-ია.



- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის საბავშვო ბაღების გაერთიანება**

  2018 წლის გეგმა – 3 137 281 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 3 122 044 ლარი (99 %)
  2019 წლის გეგმა – 3 645 469 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 2 375 011 ლარი (65 %)

- **ა(ა)იპ ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური**

  2018 წლის გეგმა – 704 695 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 694 404 ლარი (99 %)
  2019 წლის გეგმა – 853 401ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 577 792 ლარი (68 %)

- **შპს ხელვაჩაურის წყალკანალი**

  2018 წლის გეგმა – 554 370 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 541 641 ლარი (98 %)
  2019 წლის გეგმა – 835 462 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 570 403 ლარი (68%)

მუნიციპალური ორგანიზაციები

- ა(ა)იპ ხელვაჩაურის კულტურის ცენტრი

  2018 წლის გეგმა – 479 210 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 467 301 ლარი (98 %)
  2019 წლის გეგმა – 580 172 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 408 010 ლარი (70 %)

- ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელვაჩაურის სახელოვნებო სკოლა

  2018 წლის გეგმა – 356 979 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 356 978 ლარი (100 %)
  2019 წლის გეგმა – 364 786 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 269 199 ლარი (74 %)

- ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა

  2018 წლის გეგმა – 314 527 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 303 606 ლარი (97 %)
  2019 წლის გეგმა – 473 340 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 294 039 ლარი (62 %)

- ა(ა)იპ ხელვაჩაურის სასაფლაოები

  2018 წლის გეგმა – 216 350 ლარი, 2018 წლის ფაქტიური შესრულება – 210 183 ლარი (97 %)
  2019 წლის გეგმა – 352 740 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 236 123 ლარი (70 %)

- შპს საფეხბურთო კლუბი მაჭახელა

  2019 წლის გეგმა – 84 950 ლარი, 2019 წლის 9 თვის ფაქტიური შესრულება – 63 060 ლარი (74 %)

მადლობას გიხდით

ყურადღებისათვის !